

ვახტანგ მალრაძე

უცხოური ტოპონიმების მართლწერისათვის

უცხოური გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას თანამედროვე ქართულში დგება პრაქტიკული საკითხი მათი დაწერილობისა.

განიხილება უთარგმნელი გეოგრაფიული სახელები (ცისფერი ნილოსი, წითელი ზღვა, შავი მთები, ყვითელი მდინარე... სხვა რიგის საკითხია. თუმცა აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული სახელები არ უნდა ითარგმნებოდეს).

როცა ტოპონიმები მომდინარეობს ამა თუ იმ უცხო ენიდან, ზოგჯერ გათვალისწინებულია მათი მშობლიური ენის დაწერილობა, ზოგ შემთხვევაში კი ერთგვარობა დარღვეულია, მაგ. ტოპონიმი **ნიუ-იორკი** ადრე იწერებოდა დეფისით, ამჟამად ვხვდებით ცალცალკე დაწერილსაც: **ნიუ იორკი**. თუ ტრადიციაა ამოსავალი, მაშინ არ უნდა შეიცვალოს ფორმა, თუმცა ტენდენცია ერთად დაწერილობას უჭერს მხარს (და მართებულადაც) და ყველაზე ხშირად ასეც გვხვდება: **ნიუიორკი**. უცხოური ენების დაწერილობის პრინციპები ხშირად მიუღებელია ქართული ორთოგრაფისათვის.

მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე ტოპონიმები ქართულად სამი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ცალ-ცალკე, დეფისით და ერთად. **ტოპონიმები იწერება ერთად: ნიუპორტი, ნიუკასლოი, ნიულანდი, ჩერნოგორია, ხუანხაი, ხუანხე, ტიანძინი, ყიზილთაუ... ტოპონიმები დეფისითაა: სან-ფრანცისკო, ბუენოს-აირესი, სანტა-კრუსი, ლაჯო-მაჯორე, ხუან-დე-ფუკა... ტოპონიმები ცალ-ცალკეა – ნიუ იორკი, ნიუ მექსიკო...**

თუ კანონზომიერებას ვიცავთ, თუ მართლწერის პრინციპი მოქმედებს, არ უნდა იყოს ერთი და იმავე მსაზღვრელებით შედგენილი კომპოზიტები სხვადასხვაგვარად გაფორმებული: **ნიუ-იორკი – ნიუპორტი** (ახალი); **ბლეკ-ჰილზი – ბლეკბერნი** (შავი); **ბლუ-რაჯი – ბლუფილდზი** (ლურჯი); **ტიან-შანი** (ციური მთები), **ტიანძინი** (ციური კარი – მდ.); **ხუან-ხაი** (ყვითელი ზღვა), **ხუანხე** (ყვითელი მდინარე); **ყიზილთაუ** (წითელი ქედი), **ყიზილ-ირმაკი** (წითელი მდინა-

რე); **ყარა**-ირტიში (შავი მდინარე), **ყარაყული** (შავი ტბა)... [გეოგრ. 1987].

ორი და მეტი სიტყვისაგან შემდგარი უცხოური გეოგრაფიული სახელი დედანში ცალ-ცალკეა, ქართულად იწერებოდა და ზოგი ახლაც იწერება დედისით: New York – ნიუ-იორკი, New York State Barge Canal – ნიუ-იორკ-სტიეტ-ბარჯ-კანალი, Buenos aires – ბუენოს-აირესი, bam-bai – ბომბეი, მანმანდი – man-māndi...

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, ანუ ტოპონიმები, რამდენადაც ცნობილია, მხოლოდ და მხოლოდ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი, მისათითებელი, მაორიენტირებელი ფუნქციითაა დატვირთული. მას სხვა დანიშნულება არც გააჩნია. ქართული ორთოგრაფიის პრინციპებით კი, თუ (უცხოური) კომპოზიტი (ორსიტყვიანი ტოპონიმიც კომპოზიტია) ერთცნებიანია, იგი ერთად უნდა დაიწეროს. ეს წესი უნდა მოქმედებდეს ტოპონიმებზეც, რომელზეც არ არის ნათარგმნი, ისინი ერთად უნდა დაიწეროს, მიუხედავად იმისა, როგორაა დედაენაზე გაფორმებული. ეს უგამონაკლისოდ უნდა შეეხოს ყველა ტოპონიმს, არა აქვს მნიშვნელობა – იქნება ეს გამჭვირვალე (**ნიუპორტი** (ახალი), **სანტაბარბარა** (წმინდა) [საზღვრ. გეოგრ. 1989], **ყარაყული** (შავი), **ყიზილთაუ** (წითელი)... თუ ბუნდოვანი (**ანანდაპური** [ānanda-pur], **ანანტაპური** [ānanta-pur]; **ადილაბადი** [ādil-ābād], **ალაჰაბადი** [alāh-ābād] – ქალაქები ინდოეთში) [კენჭოშვილი 1992].

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ თავად უცხოური ენები არ იცავენ მართლწერის ერთ პრინციპს, რაც სრულ უფლებას გვაძლევს დავიცვათ თანმიმდევრულობა და **უცხოური რთული ტოპონიმები ერთად ვწერთ**. მითუმეტეს, ქართული ენა აშკარად ერთად წერის ტენდენციას უჭერს მხარს (ცხენისწყალი, დედოფლისწყარო, ცივგომბორი...) და ორთოგრაფიის პრინციპებიც დარღვეული არ იქნება.

ლიტერატურა

კენჭოშვილი 1992 – გ. კენჭოშვილი, ინდური გეოგრაფიული სახელები, თბილისი.

გეოგრ. 1987 – საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

საზღვ. გეოგრ. 1989 – საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

Vakhtang Maghradze

On Spelling Foreign Toponyms

Summary

When transliterating foreign geographical names the issue of their spelling becomes topical. Since toponyms come from different languages, sometimes the spelling rules of source languages are taken into consideration but they are often unacceptable for Georgian orthography.

As far as it is known, geographical names or toponyms have just an indicative, orientating function. According to the Georgian orthographical principles, if a foreign compound word (a toponym may be a compound word) has a single meaning it should be written as a single word. This rule should also be applied to toponyms that have not been translated yet. They should be written as a single word regardless of their spelling in the source languages.